ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

# ანტიუტოპიის ჟანრული სპეციფიკისათვის

**თეა მაჭავარიანი**
matchavariani.tea@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

*სტატია შეეხება ანტიუტოპიის როგორც ლიტერატურული ჟანრის სპეციფიკის პრობლემას. უტოპიასთან მუდმივ პოლემიკაში მყოფი დამოუკიდებელი კონტრჟანრი, ანტიუტოპია, უარყოფს უტოპიას, მაგრამ ვითარდება მისთვის დამახასიათებელი ჟანრული პრინციპის, თეორიული პოსტულატების საფუძველზე. ნაშრომი ეყრდნობა როგორც ამერიკელი და ევროპელი, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და ქართველი მეცნიერის, ირმა რატიანის, კვლევებს ანტიუტოპიის ჟანრობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით. მასში განიხილულია ტერმინ „ანტიუტოპიის“ დეფინიციის პრობლემა, განსაკუთრებით, „დისტოპიასთან“ მიმართებით. XXI საუკუნე ანტიუტოპიური პერსონაჟების ახლებურ ტიპაჟს გვთავაზობს. მკვიდრდება „ორი ლიტერატურის“ ცნება. პირველში ადამიანი გამოყოფილია როგორც საზოგადოებისაგან შექმნილი სოციალური ფენომენი, რომლის კონფლიქტი კონკრეტული ისტორიული გარემოებითაა განპირობებული. მეორე ტიპში კი ადამიანი წარმოდგება არსებად, რომელსაც გამოარჩევს გენეტიკური მემკვიდრეობით მიღებული ინდივიდუალური თვისებები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ანტიუტოპია, რომანი, ჟანრი.*

იმ ჟანრებს შორის, რომლებიც ინტენსიურად ვითარდება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის საქართველოშიც, ანტიუტოპიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ანტიუტოპიური ლიტერატურის მიზანია, გაანადგუროს გაბატონებული უტოპია იდეალური სახელმწიფოს არსებობის შესახებ და გვითხრას, რომ ადამიანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერასოდეს შექმნის სრულყოფლ საზოგადოებას. ამ იდეის განმახორციელებლად რომანი ანტიუტოპია მოიაზრება.

მხატვრული სამყაროსა და სინამდვილის ურთიერთობებს სხვადასხვა ჟანრული სიხშირეები აქვს. ნ. ტრაპაიძე თვლის, რომ არც ერთ ჟანრში ლიტერატურა ისე არ თავისუფლდება სინამდვილისაგან, როგორც რომანში:

„ლიტერატურული მითი (მითი, როგორც სამყაროს ქმნა) მხოლოდ რომანში იბადება. მისი კოსმოლოგია სინამდვილის მიღმა გადის. რომანი კი არ„ ჰგავს ცხოვრებას“, კი არ ჰბაძავს მას, იგი თვითონაა „ ცხოვრება“ - სხვა ცხოვრება წარმოდგენათა სინამდვილეში“ (ტრაპაიძე 2012 : 368).

XX საუკუნე არა მარტო ახალი სალიტერატურო ჟანრების ფორმირების ეპოქაა, არამედ მისთვის დამახასიათებელია განსხვავებული მიდგომა თავად „ჟანრის“ ცნებასთან. სანამ ანტიუტოპიის ჟანრობრივ მახასიათებელს შევეხებოდეთ, მანამდე უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ჟანრის როგორც გვარეობრივი, შეფასებით-ფსიქოლოგიური და მხატვრულ-სახეობრივი საკლასიფიკაციო კატეგორიის ტრადიციული განმარტების პარალელურად საუბრობენ განსხვავებულ, მაგრამ პრინციპულად მნიშვნელოვან საკლასიფიკაციო მოტივაციებზეც: ჟანრი, როგორც მრავალპლანიანი სემიოლოგიური სისტემა (მ. ბახტინი), ჟანრი, როგორც ტექსტისა და ექსტრატექსტის ფასეული ინტეგრაცია (ი. ლოტმანი), ჟანრი, როგორც რეცეფციული და ინტერპრეტაციული მოდიფიკაცია (ე. ჰირში, ჰ. იაუსი, ვ. იზერი), ჟანრი, როგორც არქეტიპული კონსტრუქციის შიდა და გარე სტრუქტურების კომბინაციების ინვარიანტული ფორმა (ნ. ფრაი) და სხვ (რატიანი 2005: 98).

ლიტერატურათმცოდნეობაში დღეს აღიარებული ჟანრის თეორიის სინქრონულ და დიაქრონულ რაკურსთა გამთლიანების ტენდენცია, ჰოლისტიკური თეორია, უარყოფს ჟანრის როგორც გამყარებული სტრუქტურის განმარტებას და ითვალისწინებს მის დინამიკურ-ტრანსფორმაციულ მიმართებას რეალურ კონტექსტთან (რატიანი 2007: 39).

ანტიუტოპიით დაინტერსება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალური პროცესებით, ლიტერატურისათვის დამახასიათებლი განვითარება - განახლების კანონზომიერებით.

ამერიკელი ისტორიკოსი, მწერალი და კრიტიკოსი რასელ ჯეიკობი (Russell Jacoby) წერდა: „XX საუკუნის ყოველი დიქტატორი, ჰიტლერიდან დაწყებული და პოლ პოტით დამთავრებული, XXI საუკუნის ყველა ტერორისტი უტოპიის იარლიყს ირგებს: რუანდაში, ერაყში, სირიაში, ჩრდილოეთ კორეაში, შრილანკაში, პალესტინაში ეროვნულ-რელიგიურ ნიადაგზე განვითარებული მოვლენების მიზანი ერთია - მმართველობისა და ტერიტორიების ხელში ჩაგდების სურვილი“ (თარგ. – თ.მ.) (Russell 2005:45 ). იდეოლოგია კი ისევ უტოპიურ ხაზზე გადის და მითი იდილიურ - იდეალური სამყაროს შესახებ ისევ აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ რამ-

დენჯერმე იქნა გაცხადებული მისი სიკვდილი, ის ისევ განახლდა, შეიცვალა, გარემოპირობებზე ადაპტირდა და რადგანაც უსაზღვროა ადამიანის წარმოსახვა და შესაძლებლობები, უტოპიაც ისევ არსებობს. უტოპიური მწვერვალების მიუღწევლობა კი იქვე ბადებს უკმაყოფილებას - ანტიუტოპიას. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უტოპიის მსგავსად, ანტიუტოპიის წარმოშობაც კაცობრიობის განვითარების გარდამავალ პერიოდებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ვითარდება და იცვლება კაცობრიობის ცვლილებასთან ერთად.

„უტოპია“ დრო - სივრცული პარამეტრების თვალსაზრისით გამიჯნულ ცნებათა კომპოზიტი-სიტყვათა ორაზროვანი თამაშია: როგორც მიჩნეულია, იგი აღნიშნავს „კარგ ადგილს“/„არარსებულ ადგილს“ (ფორმის მიხედვით, უტოპია განისაზღვრებოდა როგორც სალიტერატურო ჟანრი, რომლის სათავე თომას მორის „უტოპია“ გახლდათ. თუმცა ისტორიულმა განვითარებამ იდეალური საზოგადოების იდეა უფრო მრავლისმომცველი გახადა, შესაბამისად, „კარგი ადგილის“ ნაცვლად „არარსებული ადგილის“ მნიშვნელობაც შეიძინა. (ეს განმარტება უტოპიური სოციალისტების მიერ იყო შემუშავებული : სენ–სიმონი, ფურიე, ოუენი, კაბე). უტოპია თავის თავში ორ განსხვავებულ მნიშვნელობას ამთლიანებს: ერთი მხრივ, ასოცირდება დროის მიღმა განფენილ ფანტაზიასთან, წარმოსახვის დაუსაზღვრავ სივრცეებთან, მეორე მხრივ კი — იდეალური საზოგადოებრივი მოდელის კონსტრუირების აქტიურ ექსპერიმენტთან, „კარგი ადგილის“ პრაქტიკული რეალიზების მცდელობასთან.

სწორედ ამ პრინციპით სოციალ-უტოპისტებმა შეიმუშავეს „კონცეფცია ისტორიის აღმშენებლური და დამანგრეველი პერიოდების“ (რატიანი 2005: 26). შესახებ, რომლის თანახმადაც, დამანგრეველი პერიოდები ნიადაგს ამზადებდნენ ახალი აღმშენებლობისათვის. ადამიანებს სჭირდებოდათ არა ლიტერატურული უტოპია, არამედ მეცნიერებაზე დაფუძნებული, რეალობასთან მჭიდროდ დაკავშირებული უტოპიური სოციალიზმი, „კარგი ადგილი“ შეერწყა „კარგ დროს“ და ჰიპოთეტურად საბჭოთა იდეოლოგიის სახით ჩამოყალიბდა.

ფლოროვსკი უტოპიას შემდეგნაირად განმარტავს: „უტოპიზმი არის მუდმივი და ურღვევი ცდუნება ადამიანური აზროვნების, მისი უარყოფითი პოლუსი, დამუხტული უდიდესი „შხამიანი ენერგეტიკით“ (Флоровский 1990: 83). საზღვრად უტოპიასა და ანტიუტოპიას შორის დევს ადამიანური ცივილიზაციის მოდელი, რომელიც შექმნა ახალმა დრომ: მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, რევოლუციებმა, მსოფლიო

ომებმა, ცივილიზაციის ინდუსტრიალიზაციამ გაანადგურა ინდივიდი „მასების ადამიანში“, ხოსე ორტეგა ი გასეტი თვლის, რომ ინდივიდი გახადა „მასის ადამიანი“ (Ортега-и-Гассет 1989: 119), მან გაწყვიტა კავშირი ბუნებასთან, ძალადობა დაუპირისპირდა ძველ იდეალებს და წარმოსახვითი გახდა თვით სამართლიანი საზოგადოების მშენებლობა. თანამედროვე კულტურის სახით ჩვენ წინაშე აღიმართა ისეთი საზარელი ცხოველური სახე, რომ ჩვენ ზურგი შევაქციეთ მას ზიზღითა და გაუგებრობითო, წერდა რუსი კრიტიკოსი შიშკინა ლოპატინზე დაყრდნობით (Шишкина 2009: 201). უტოპიად რელიზებულმა ადამიანის მარადიულმა მისწრაფებამ ჰქონოდა, შეექმნა, ეზატონა იდეალურ - იდილიურ სამყაროზე, თავის წიაღშივე დაბადა ადამიანის ადამიანშივე დაკარგვის შიში, წინ წამოსწია საზოგადოების ცალკეული ნეგატიური ასპექტები, მათი კრიტიკა, ინტერესი პიროვნების არსებობის, მისთვის მნიშვნელოვანი წვლილის დაკისრების. ამ პროცესმა უტოპიასათან შერწყმით მიიღო მისი საწინააღმდეგო სახე და გაფორმდა ანტიუტოპიად, რომელსაც საფუძვლები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოეპოვება (ჰესიოდეს „შრომანი და დღენი“). კაცობრიობის ევოლუციასთან ერთად მოხდა მისი განვითარება, სახეცვლილება, მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით რეალიზებულ იქნა. განსაკუთრებული პოზიცია XX საუკუნეში, ტოტალიტარიზმს სიმძაფრის ეპოქაში, იქნა მიღწეული. ამიტომ გასაკვირი არ არის პოპერის, ბერლინის, ფიკალტისა და არენტის ნეგატიური შეფასებები. მათ უტოპიას დისტოპია უწოდეს (ნადირაძე 2015), შესაბამისად, XX საუკუნის ანტიუტოპია „დაკარგული“ და „უპოვარი თაობების“ ლიტერატურად მოინათლა (Некита 2006 :190).

ამრიგად, კაცობრიობის განვითარების არამიწიერი საფეხურიდან, ჯერ კიდევ ანტიკური საბერძნეთიდან, მითის სახით შექმნილმა სამყარომ (უტოპიამ) თავის წიაღშივე ილუზორული გახადა სამართლიანად ორგანიზებული საზოგადოების აგების შესაძლებლობა. უტოპიურ პლანში წარმოჩენილი ლიტერატურული ნაწარმოებების გვერდით გაჩნდა ტექსტები. რომლებშიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა პოზიტიური იდეალების რეალიზაციის შესაძლებლობა. უტოპიასთან შერწყმულმა ანიტუტოპიამ შეიძინა უფრო მეტი დამოუკიდებლობა, ღირებულება, სპეციფიკური თვისებები ჟანრული პოეტიკისა, რაც საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრის - ანტიუტოპიის ჩამოყალიბებაზე. რომლის ფორმირება უწყვეტი პროცესია.

როგორც უცხო სიტყვათა ლექსიკონშია განმარტებული, „ანტი“ წინსართია, რომელიც აღნიშნავს საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულს. აქედან

გამომდინარე, ანტიუტოპია კომპოზიტია, რომელიც აერთიანებს სიტყვებს ანტი/უტოპია. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედვად წინდებულისა „ანტი“, ტერმინი არ გულისხმობს უტოპიის საპირისპიროს, არამედ, იგი წარმოადგენს უტოპიისაგან დამოუკიდებელ ჟანრს, რომელიც უარყოფს უტოპიას, მაგრამ ვითარდება უტოპიისათვის დამახასიათებელი ჟანრული პრინციპის საფუძველზე, ეფუძნება ამ უკანასკნელის უკვე რეალიზებულ თეორიულ პოსტულატებს.

ქართველი მკვლევარი ი. რატიანი, რომელიც საგანგებოდ სწავლობდა ანტიუტოპიური ჟანრის კვლევასთან დაკავშირებულ ტრადიციულ შეხედულებებს, იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას უტოპია-ანტიუტოპიის ურთიერთმიმართების შესახებ და მიიჩნევს, რომ „ლიტერატურული ანტიუტოპია არის უტოპია უარყოფით კონტექსტში, ნეგატიური უტოპია ან კონტრუტოპია, მიმართული უტოპიის ჟანრის წინააღმდეგ“ (რატიანი 2005: 100). ქართველმა მკვლევარმა დაადგინა ანტიუტოპიური ჟანრის მიმართება ზოგადად ჟანრის ფორმირების როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ კანონზომიერებებთან, გამოკვეთა ანტიუტოპიური ჟანრის თეორიულ-მეთოდოლოგიური ფუნდამენტი, საფუძვლად კი ჟანრის გლობალური, ანუ ჰოლისტიკური თეორია მიიჩნია (რატიანი 2005: 90). მეცნიერის აზრით, ანტიუტოპიამ კონკრეტულ, ონტოლოგიურად ღირებულ ფაზაში მოახდინა საუკუნეების წიაღში გამომუშავებული სპეციფიკური იდეების, პოზიციების, აზრებისა და შეგრძნებების კრისტალიზაცია და ფორმალური რეაგრეგაცია (რატიანი 2005: 102).

ჰოლისტიკურ თეორიაზე დაყრდნობით, ი. რატიანი მიიჩნევს, რომ ანტიუტოპიის უმთავრეს ჟანრულ მახასიათებელს, ძირითად და განმსაზღვრელ ჟანრულ ნიშანს წარმოადგენს ოპოზიციის (მოწესრიგებული საზოგადოება/ადამიანი) იდენტიფიკაცია ოპოზიციასთან (მასა/პიროვნება), სადაც საზოგადოება ჰიპერტროფირებული სახელისუფლო მექანიზმს დამორჩილებული მასის რელევანტური ცნებაა, ადამიანი კი - მასთან დაპირისპირებული ნონკოფორმისტი პიროვნებისა (რატიანი 2005: 101).

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული ანტიუტოპიის მკვლევართა აზრი ანტიუტოპიის, როგორც „ჟანრის“, დეფინიციის პრობლემის ირგვლივ წინააღმდეგობრივია. რ. ბეიკერი, კ. კუმარი, ი. როდნიანსკაია, რ. გალცევა, ე. ბატალოვი და სხვანი, მიუხედავად იმისა, რომ ანტიუტოპიას მიიჩნევენ უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად, თავს იკავებენ მისთვის „ჟანრის“ სტატუსის მინიჭებისგან. რ. ს. ელიოტი, ბ. ლანინი, ა. ზვერევი, იუ. ლატინინა, ირ. რატიანი და სხვანი თვლიან, რომ

ანტიუტოპია სრულუფლებიან ლიტერატურულ ჟანრს წარმოადგენს (რატიანი 2010 :16).

ასე რომ, ანტიუტოპია, რომელიც უტოპიასთან ამბივალენტურ მთლიანობაში ჩამოყალიბდა, არ დასჯერდა უტოპიის „სოციალურ-პოლიტიკური კონტრმოდელის“ სტატუსს და თამამად გაფართოვდა გლობალური ჟანრული მოდელის მიმართულებით. ამის დასტურია ლიტერატურული ანტიუტოპიისათვის ნიშანდობლივი მკვეთრად გამოხატული კონცეპტუალური, მოტივაციური მახასიათებლების არსებობა, რის საფუძველზეც ლიტერატურული ანტიუტოპია თავად გვთავაზობს შიდაჟანრული დეტერმინაციის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: მეცნიერული, ფანტასტიკური, სატირული, სოციალური, ესქატოლოგიური ანტიუტოპია და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლამ ცხადყო, რომ ტერმინი „ანტიუტოპია“ არ გამოდგა საკმარისი უტოპიის საპირისპირო მრავალი მხატვრული ნაწარმოების გასაერთიანებლად. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს, ჟანრის თვალსაზრისით, სახეობასთან დაკავშირებული ქვესახეობები. ანტიუტოპიური ჟანრის გვერდით გვხვდება ტერმინები: აქრონია, დისტოპია, კაკოტოპია, ეუტოპია, რომანი-გაფრთხილება, ნეგატიური უტოპია, უტოპიური სატირა, ბესტიარიული დისტოპია (bestiarium dystopia), reverse utopias (უკუსვლითი უტოპია), inverted utopias (შებრუნებული უტოპია), regressive utopias (რეგრესიული უტოპია), non-utopias (არაუტოპია), nasty utopias (საზიზღარი უტოპია), sour utopias in the apocalyptic mode (მჟავე უტოპია აპოკალიფსურ მოდელში), negative quasi-Utopias (ნეგატიური კვაზიუტოპია), heterotopias (ჰეტეროტოპია) (Glaeys 2017: 275).

განსაკუთრებით სადავო გახდა ანტიუტოპია/დისტოპიის დეფინიციის საკითხი. ამ თემას ცალკე ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა კვიპროსელმა მეცნიერემა ა. ბალასოპულოსმა. იგი თვლის, რომ ანტიუტოპიაც და დისტოპიაც მიჰყვება საერთო მახასიათებელს - არ ამბობს უარს უტოპიურ იმპულსებზე, მათში გატარებული კრიტიკა სუბიექტურია, ემპათიაზე დაფუძნებული; უმრავლეს შემთხვევაში ნარატიული და არაარგუმენტირებული ხასიათის, გაჯერებულია მხატვრული გამომსახველობითი ხერხებით, თუმცა არაერთგვაროვანია პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაცია, ამიტომაც, მეცნიერის აზრით, დისტოპია, ნაწილობრივ (მაგრამ არა მთლიანად) მიეკუთვნება სამეცნიერო ფანტასტიკას, რომელიც მეტად დავალებულია ისეთი ჟანრებისგან, როგორებიცაა: მელოდრამა, გოთიკა - სენსიტიურ განცდებზე დაფუძნებული ლიტერატურა (Balasopoulos 2012: 63).

ა. ბალასოპულოსი ახდენს ანტიუტოპია/დისტოპიის კლასიფიკაცი-

ას გარკვეული მახასიათებლების მიხედვით, ყურადღებას ამახვილებს ანტიუტოპიის შემდეგ ქვეჯგუფებზე: Satirical anti-Utopias ( სატირული ), Dogmatic fictional anti-Utopias (დოგმატურად გამოგონილი), Dogmatic non-fictional anti-Utopias (დოგმატურად არაგამოგონილი), Pre-emptive anti-Utopias (პრევენციული), Critical anti-Utopias (კრიტიკული) ანტიუტოპიები. რაც შეეხება დისტოპიას, მეცნიერი აქაც ხუთ ქვეპუნქტს გამოყოფს: Dystopias of tragic failure (ტრაგიკული მარცხის), Dystopias of authoritarian repression (ავტორიტარული რეპრესიების), Dystopias of catastrophic contingency (კატასტროფული შემთხვევითობის), Nihilistic dystopias (ნიჰილისტური), Critical dystopias (კრიტიკული) დისტოპიები (Balasopoulos 2012: 61- 65).

თუ ანტიუტოპიის უარყოფითი პათოსი მიმართულია კონკრეტული უტოპიური პროექტის კრიტიკისაკენ, დისტოპია ქმნის საზოგადოების მოდელს აშკარად გამოხატული უარყოფითი მახასიათებლებით, რაც მომავლის აბსურდამდე მიდის. მომავლის "საშინელებათა" და "აბსურდის" მოდელები იდეალურად შექმნილია იმისათვის, რომ მკითხველი დაფიქრდეს აქ და ახლა აირჩია თუ არა ცხოვრების სწორი სტრატეგია. და მხოლოდ მაშინ, როცა საშიში ტენდენცია შეჩერდება, დისტოპიის ავტორიც მომავალს იმედით შეხედავს. დისტოპია უფრო ვიწრო ტერმინია. ანტიუტოპია კი არა მხოლოდ ეწინააღმდეგება უტოპიას, არამედ შეიცავს მის კრიტიკას, ანტიუტოპიის პოლიტიკური ვალენტობა მიდრეკილია იქითკენ, რომ იყოს აშკარად კონსერვატორული (Balasopoulos 2012: 67).

პოლემიკა ამ ცნებების გასამიჯნად ისევ მიმდინარეობს. ევრო-ამერიკულ კვლევებში, უმეტეს წილად, „დისტოფია", „ნეგატიური უტოპია", „კაკოტოპია" გამოიყენება აბსოლუტურად სინონიმურად, მათი ფუნდამენტური განსხვავების გარკვევის გარეშე.

სამწუხაროდ, ანტიუტოპიის ჟანრობრივ მახასიათებელთან დაკავშირებული ქართული სამეცნიერო ნაშრომები მწირია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიუტოპიის როგორც ჟანრის კვლევის ავტორი და სულის ჩამდგმელი გახლავთ ირმა რატიანი. ნაშრომში იგი იყენებს ტერმინს ანტიუტოპია და არა დისტოპია. აქვე დავსძენთ, რომ მეცნიერი ბ. წიფურია თავის წერილში: "ანტიუტოპიური რეალობა და ანტიუტოპიური რომანი", რომელიც ირმა რატიანის მონოგრაფიის რეცენზიას წარმოადგენს, მაცალკევებელი კავშირის გამოყენებით, მათ დამოუკიდებელ კონტექსტებად მოიაზრებს: "ანტიუტოპიის (ან დისტოპიის) როგორც ლიტერატურული ფენომენის კვლევა საქართველოში ხანგრძლივ ისტორიას არ ითვლის,

თუმცა ჩვენ ხანგრძლივად მოგვიწია ანტიუტოპიურ ისტორიულ დროში ცხოვრება“ (წიფურია 2009: 345).

რუსი მეცნიერი ო. პავლოვა თვლის, რომ „დისტოპია არის უარყოფითი უტოპიის ჟანრული სახეობა, რომელიც წარმოიშვა მეოცე საუკუნეში. მისი გამორჩეული თვისება ის არის, რომ არ შეიცავს ფსევდო-სრულყოფილი სამყაროს სტრუქტურის დეტალურ ასახვას, მისი აღწერა დამოკიდებულია ნარატორის, „დრამატიზებულ ცნობიერებაზე“. დაფუძნებულია სამყაროს მისეულ მითოლოგიურ ხედვაზე, რომელიც სიუჟეტის განვითარების პროცესში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რაც წარმოადგენს ნაწარმოების კონცეპტუალურ ბირთვს“ (Павлова 2004: 217) მნიშვნელოვანია ვ. ჩალიკოვას განმარტებაც: „მხატვრული დისტოპია არ არის რომანი, არამედ რომანტიკა (a romance), ანუ უაღრესად პერსონალური ტექსტი, სრულიად განსხვავებული ურთიერთობებით ავტორსა და გმირებს შორის“ (Чаликова 1994: 60). რუსი მეცნიერი ა. ზვერევი კი თვლის: „დისტოპია არის უტოპიური ოცნებების უარყოფა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რეალობას, ეურჩებიან სიზმრებს“ (Зверев 1989: 32).

საგულისხმოა, რომ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების თეორეტიკოსების შეხედულებები ამ სახკითხთან დაკავშირებით იდენტურად იქნა გააზრებული, რადგან პოლიტიკური მოვლენების განვითარება ანალოგიურ დროსა და სიტუაციაში მოხდა, შესაბამისად, საბჭოურ სივრცეში ანტიუტოპიური განწყობილება კომუნისტური ჰარმონიის რღვევის სინონიმი იყო, დასავლურ ლიტერატურულ წრეებისაგან განსხვავებით, სადაც იგი XX საუკუნის კულტურული კონტექსტის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. იდეოლოგიური კლიშეების რღვევის პროცესში პოსტსაბჭოური ლიტერატურათმცოდნეობა შეუერდთა ანტიუტოპიის გლობალური კვლევის ტენდენციებს და სრულად აირეკლა ის დისპოზიცია, რომელიც შეიქმნა ანტიუტოპიის ჟანრის ირგვლივ.

ამრიგად, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ანტიუტოპია/დისტოპიას მიიჩნევს იდენტურ ცნებებად (ლანინი, გოთლიბი, კრეგერი, რაბკინი და სხვ). ზოგიერთი მათ განიხილავს, როგორც დამოუკიდებელ ჟანრს (ბალასოპულოსი, დიდროვი, დარენდარფი, არაბ-ოღლი და სხვ.). მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ტერმინ ანტიუტოპიის ნაცვლად იყენებს დისტოპიას (ვაგარი, კლეისი, ოლდრიჯი, სარჯენტი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უტოპიური იდეალურობის მიუღწევლობა თავისივე წიაღში ბადებს ანტიუტოპიურ პათოსს და მათი განხილვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მთელ რიგ პრობლემებს ქმნის. ჟანრის

თეორიტიკოსები იზიარებენ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ უტოპია, როგორც სოციალური აზროვნება, ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისთანავე, ანტიუტოპიამ კი, რომელიც გენეტიკურად თუ თეორიულად დაუკავშირდა მას, იმთავითვე დაიკავა მის გვერდით ადგილი და ადამიანის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უტოპიასა და უტოპიური აზროვნების კონტრთეორიად იქცა.

ანტიუტოპიას როგორც უტოპიასთან რადიკალური პოლემიკის ფორმას განიხილავენ ბეიკერი და ვებერი. ბეიკერის აზრით, იდენტურ ცნებებად მოაზრებული ანტიუტოპია/ დისტოპია ეფუძნება იმ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, რომლებიც ამძაფრებდნენ უტოპიური მომავლის კოშმარულობას თანამედროვე ტოტალიტარული იდეოლოგიის შიშისა და არაკონტროლირებადი ტექნოლოგიური და მეცნიერული პროცესების პირობებში (Baker 1990: 22).

ვებერი მიიჩნევს, რომ უტოპია/ ანტიუტოპიის ურთიერთმიმართება განხილულ უნდა იქნას ჩვენი დროის კონფლიქტად თავისუფლებას, თავისუფალ არჩევანსა და მოწესრიგებულ საზოგადოებას შორის (Weber 1971: 83).

რ. დარენდარფისათვის, უტოპია იმ მხრივ უპირისპირდება ანტიუტოპიას, რომ იგი კრძალავს ინდივიდუალურობის ნებისმიერ გამოვლინებას (Darendorf 1971: 105).

ანტიუტოპია ცდილობს, გაანადგუროს უტოპია და დაამტკიცოს, რომ უტოპიებში აღწერილი რეალობა განუხორციელებელია. ამ დაპირისპირებას გლობალურად აფასებს რუსი მეცნიერი ე. ბატალოვი. იგი ანტიუტოპიას არ განიხილავს არა როგორც მარტივად ნეგატიურ უტოპიას, არამედ თავად უტოპიის იდეის, უტოპიური ორიენტაციის უარყოფას (Баталов 1989: 265).

ანტიუტოპია სიღრმისეულად იკვლევს იმ ნიშნებს, რომლებზეც უტოპიაა დამყარებული, განიხილება არა როგორც კონკრეტული ისტორიული სიტუაციის, არამედ უტოპიანიზმისა და ადამიანის მცდარი ნების კრიტიკა. „ანტიუტოპია უტოპიისგან წარმოიშვა და პარაზიტულად იკვებება მისგან. ანტიუტოპია თავისი მეთოდებით და გამოსახვის მანერით უტოპიას ჰგავს, რომელიც უტოპიის დამახინჯებულ სახეს გვიჩვენებს გაბზარულ სარკეში“ (Kumar 2010 : 3).

საკითხს ამგვარად განიხილავს ქართველი მეცნიერი ბ. წიფურიაც ზემოთ აღნიშნულ წერილში. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ანტიუტოპიური მოდელის განვითარება უტოპიური იდეალისადმი ფრუსტრაციის უშუალო შედეგია: „თუკი უტოპიის, როგორც ფილოსოფიური თემის და ლიტერა-

ტურული ჟანრის შექმნა, - პლატონიდან თუ თომას მორიდან დაწყებული, - არარსებული (არსად არსებული ) იდეალური სამყაროსკენ სწრაფვამ განაპირობა, ანტიუტოპიის საბოლოო ფორმირება, - ევგენი ზამიატინიდან მოყოლებული, - რეალობაში შექმნილ ფსევდოიდეალურ სამყაროსთან შეჯახებამ გამოიწვია“ (წიფურია 2009: 345).

უტოპია/ანტიუტოპიის რადიკალური პოლემიკის ფორმას განიხილავენ მეცნიერები: კუმარი, ბეიკერი, ვებერი, დარენდარფი. ამ ფორმებზე ბევრს მსჯელობენ რუსულ ლიტერატურამცოდნეობაშიც: ნოვიკოვა თვლის, რომ ანტიუტოპია მუდმივ დიალოგს მართავს უტოპიასთან- „антиутопия состоит с утопией в отношениях диалога“ (Новикова 1998: 18). ამასთან, იგი განმარტებულ იქნა, როგორც „შებრუნებული /გადატრიალებული უტოპია“ - „перевернутой утопией“ (Шестаков 1990: 5). ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ანტიუტოპია ამოწმებს მიწიერი სამოთხის არსებობის ზნეობას. ე. გოთლიბის აზრით, უტოპიაში წარმოდგენილ იქნა „სამართლიანი საზოგადოება“, რაც ქრისტიანული სამოთხის სურათის განსახიერებას წარმოადგენს, ხოლო ანტიუტოპიაში - „უსამართლო საზოგადოება“- ჯოჯხეთის დიქტატურა დედამიწაზე (Gottlieb 2001: 3).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტიუტოპიური ჟანრის/ქვეჟანრების ფორმირების პროცესი ისევ მიმდინარეობს. XXI საუკუნე ანტიუტოპიური პერსონაჟების ახლებურ ტიპაჟს გვთავაზობს, აფართოებს მათს სახასიათო არეალს, აღრმავებს ინდივიდების ტრაგიზმს, რაც ტრანსფორმირდება „მრავალმხრივი“, „კოლექტიური“ გმირის სახით. ამასთან, მეტად აქტუალურია გონის ამბივალენტურობის ძიება ყოველ კულტურულ მოდელში. აქედან გამომდინარე, ანტიუტოპიაში მკვიდრდება „ორი ლიტერატურის- “ცნება. პირველში ადამიანი გამოყოფილია როგორც „Homo socialis“, სოციალური ფენომენი, რომელსაც საზოგადოება ქმნის. კონცეფცია: საზოგადოება განაპირობებს და ქმნის პიროვნებას, რომლის კონფლიქტი კონკრეტული ისტორიული გარემოებითაა განპირობებული და საზოგადოების ანალიზი გარდაუვლად უკავშირდება პიროვნების ანალიზს; მეორე ტიპში კი გამოყოფილია, როგორც „Homo“: ადამიანი წარმოდგება არსებად, რომელსაც გამოარჩევს გენეტიკური მემკვიდრეობით მიღებული ინდივიდუალური თვისებები. თითოეული ინდივიდის ნება უპირისპირდება შემუშავებულ სოციალურ ეტიკეტს (რატიანი 2005: 116).

ამჯერად, ანტიუტოპია წარმოაჩენს თანამედროვე საზოგადოების პრობლემებს და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზას გვაწვდის. აქედან გამომდინარე, ანტიუტოპიური ჟანრისათვის ნიშანდობლივია უტოპიუ-

რი იდეალების კრიტიკა, უტოპიური ფანტაზიისა და მისი კატასტროფული შედეგების რეალობაში გადმოტანა, მკითხველის უტოპიური იდეების არარეალურობაში დაჯერება. რითაც ანტიუტოპიური ნაწარმოები მიგვანიშნებს, რომ უტოპიის ხარვეზი მისივე თეორიაშია - იმის დაშვებაც კი, რომ თეორია სრულყოფილია და მას არანაირი ნაკლი არ აქვს, იმის გარანტიაა, რომ იგი რეალობაში სრულყოფილი არ იქნება.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერ ჟანრს ქმნის დრო. სწორედ დროის შესატყვისი სულიერი მოთხოვნილებების რეალიზების ხელშეწყობაა ამა თუ იმ ლიტერატურული ჟანრის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ანტიუტოპია კაცობრობის განვითარების უძველესი საფეხურიდან იღებს სათავეს, მისი ფორმირება განსაკუთრებულად XX საუკუნეში მოხდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულ იქნა ამ ეპოქაში წამოჭრილი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ მორალური პრობლემებით, რეალობის შეფასებისა თუ საჭიროებებიდან გამომდინარე. სწორედ ეს საჭიროებები „კარნახობენ“ ნარატორს ანტიუტოპიური ლიტერატურული ნაწარმოების იდეას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ანტიუტოპია არის ინტერტექსტუალური ლიტერატურული ჟანრი, რომელიც ჩვენ თვალწინ განიცდის ცვლილებას, მისი დისკურსი გამოირჩევა დამახასიათებელი ქრონოტოპით და მიზნად ისახავს ტრიადის “ადამიანი - ცივილიზაცია - საზოგადოება” ურთიერთობების გარკვევას უტოპიური იდეალების რეალიზაციის შესაძლებლობის უარყოფით, იმ მიზეზით, რომ საზოგადოებასა და მის მორალს შორის დისბალანსია, ჰარმონია არის დარღვეული.

## ლიტერატურა


ნადირაძე, რ. 2015. „უტოპია აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე“. https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-rusudan-nadiradze utopia/26795909.html

რატიანი, ი. 2010. *ტექსტი და ქრონოტოპი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რატიანი, ი. 2007. *ჟანრის თეორია.* თბილისი.

რატიანი, ი. 2005. *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში: ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისთვის.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ტრაპაიძე, ნ. 2012. „რომანი და სინამდვილე“. *ჟურნალი კადმოსი,* N4, 2012.

წიფურია, ბ. 2009. „ანტიუტოპიური რეალობა და ანტიუტოპიური რომანი“. *წიგნში წახნაგი.* თბილისი: მემკვიდრეობა.

Baker, R. 1989. *Brave new word: History, science, end dystopia.* Woodbridge, GT: Twayne Publishers.

Balasopoulos, A. 2012. *Anti-Utopia and Dystopia*: Rethinking the Generic Field.

Darendorf, R.1971. „Out of utopia: Toward a Reorientation of Sociological Analysis“. *Utopia* . Ed. by George Kateb. Atherton Press, New York.

Gottlieb, E. 2001. *Dystopian fiction east and west: Universe of terror and trial.* Quebec City.

Glaeys,G. 2019 *Dystopia: A Natural History*. Oxford: Oxford University Press.

Kumar, K. 2010. “The Ends of Utopia”. *New Literary History*, Volume 41, Number 3. Johns Hopkins University Press.

Russell, J. 2005. *Picture imperfect file*: Columbia University Press.

Sargent, L.1981. “Eutopias and Distopias in Science Fiction:1950-1975.”// *America as Utopia.* N.Y., 1981.

Wagar, W. 1982. *Terminal Visions : The Literature of Last Things.* Indiana University Press.

Weber, E. 1971. “The Anti- utopia of the Twentieth Century”. *Utopia* . Ed. by George Kateb. Atherton Press, New York.

Баталов, Э, 1989. „В мире утопии“. Политиздат.

Зверев, А. 1989. „Когда пробьет последний час природы…“. *Антиутопия. XX век // Вопросы литературы,* №1, 1989.

Ланин, Б. 2001. „Антиутопия“. *Литературная энциклопедия терминов и понятий.* М., 2001.

Латынина, Ю. 1989. „В ожидании Золотого века: от сказки к антиутопии“. Октябрь, N6, 1989.

Некита А. 2006. „Институционное за-бытие Мифа как антиутопическая демагогия социального Ничто“. *Онтология социального будущего.* Великий Новгород, 2006.

Новикова, Г. 1998. „Необыкрновенные приключения науки в утопии и антиутопии“. *Вопросы литературы,* 1998, N4.

Ортега-и-Гассет, Х. 1989. „Восстание масс“. *Вопросы философии.* №3, 1989.

Павлова, О. 2004. *Метаморфозы литературной утопии: теоретический аспект.* Волгоград: науч. изд.

Флоровский, Г. 1990. ЭМетафизические предпосылки утопизма“. *Вопросы философи.* N10, 1990.

Чаликова, В. 1994. *Утопия и свобода.* М. 1994.

Шестаков, В. 1990. „Эволюция русской литературной утопии“. *Русская литературная утопия.*

Шишкина, С. 2009. *Истоки и трансформация литературной антиутопии XX века.* Иван. гос. хим.-технол. ун-т. .

## Literature and Literary theory

# For the Specific Genre Characteristics of Anti-utopia

**Tea Machavariani**
tea.machavariani@atsu.deu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

*The article deals with the problem of specific characteristic features of anti-utopia as a literary genre. Anti-utopia, as an independent counter-genre in constant controversy with utopia, rejects utopia, but develops according to its characteristic genre principle and theoretical basis. The given paper is based on the studies of various scientists from America and Europe, as well as Georgia and other post-Soviet countries regarding the genre characteristics of anti-utopia. It discusses the problem of the definition of the term "anti-utopia" and its relation with "dystopia". Despite the fact that anti-utopia originates from the ancient stage of human development, its formation is especially connected to the 20th century, which is mainly due to the political, economic, social or moral problems that arose in this era.*

***Keywords**: utopia, anti-utopia, dystopia, literary genre.*

Anti-utopia holds a special place among the genres that are intensively developing in the modern literary world, including Georgia.

The goal of anti-utopian literature is to destroy the prevailing utopia about the existence of an ideal state and to tell us that man, due to his nature, can never create a perfect society.

The growing interest in anti-utopia is primarily caused by the political and social processes taking place in the world, the development characteristic of literature – by the inevitability of renewal. Since ancient times the myth about an idyllic – ideal utopian world has been relevant, and the unattainability of utopian ideals gives rise to dissatisfaction – anti-utopia. It is significant that, like utopia, the origin of anti-utopia is related to the transitional periods of human development; therefore, it develops and changes along with humanity.

"Utopia" is a composite of concepts separated in terms of time-space parameters - an ambiguous play on words: it is supposed to denote a "good place" / "no place". On the one hand, it is associated with the imagination beyond time,

with the unlimited realms of fantasy, and on the other hand, with the active experiment of forming an ideal social model, attempting to realize the idea of a "good place" in practice. "Good place" merged with "good time" hypothetically formed Soviet ideology.

The boundary between utopia and anti-utopia is set through the model of human civilization created by the new times: the development of science and technology, revolutions, world wars, industrialization of civilization destroyed the individual within the "man of the masses". As José Ortega y Gasset believes, an individual has become a "man of the masses", who has lost connection with nature; as a result, old ideals have been replaced by violence and the construction of a fair society itself has become imaginary. The fear of losing a person within a person was born in this very core, which revealed certain negative aspects of society and brought forward their criticism, interest in the existence of a person, imposing importance on him. Merging with utopia, this process took its opposite form and became an anti-utopia. A special position was achieved in the 20th century, in the era of totalitarianism, and therefore, as Nekita believes, the anti-utopia of the 20th century became the literature of "lost" and "unfound generations".

As explained in the dictionary of foreign words, "anti" is a prefix that means something opposite. Therefore, anti-utopia is a composite that combines the words anti / utopia. A certain group of scientists believe that despite the above mentioned, the term "anti" does not actually imply the opposite of utopia, rather, it represents a genre independent of utopia, which rejects utopia, but develops on the basis of the characteristic genre principles of utopia, based on the already realized theoretical postulates of the latter.

Georgian researcher I. Ratiani, who studied traditional views related to the anti-utopian genre, follows the established traditional view of the relation between utopia and anti-utopia and believes that "a literary anti-utopia is a utopia in a negative context, a negative utopia or a counter-utopia contradicting the genre of utopia."

Based on the holistic theory, I. Ratiani believes that the main genre characteristic of anti-utopia, the defining genre feature, is the identification of the opposition (ordered society/man) with the opposition (mass/personality), where society is a relevant concept of the mass subjugated to the hypertrophied authority mechanism, and a man is a non-conformist individual opposing it.

However, it should be noted that the opinions of researchers regarding the

problem of definition of literary anti-utopia as a "genre" are contradictory. R. Baker, K. Kumar, I. Rodnyanskaya, R. Galtseva, E. Batalov and others, despite considering anti-utopia as an extremely important literary phenomenon, hesitate to give it the status of a "genre". R. S. Elliott, B. Lanin, A. Zverev, Y. Latinina, I. Ratiani and others believe that anti-utopia is a separate literary genre.

Scholarly literary studies have revealed that the term "anti-utopia" has not been proved sufficient to include a variety of works of fiction that oppose utopia. In the scientific literature, various subcategories related to the genre can be found. Next to the anti-utopian genre, there are terms: achronia, dystopia, kakotopia, eutopia, cautionary novel, negative utopia, utopian satire, bestiary dystopia, reverse utopia, inverted utopia, regressive utopia, non-utopia, nasty utopia, sour utopia in the apocalyptic mode, negative quasi-utopia, heterotopia.

The question of the definition of anti-utopia/dystopia has become particularly controversial. A Cypriot scientist A. Balasopoulos has dedicated a vast research work to this topic. He believes that both anti-utopia and dystopia follow a common feature – they do not give up on utopian impulses, the criticism revealed through them is subjective, based on empathy; in most cases, it is of a narrative and non-argumentative nature, full of artistic expressive methods, although the political and ideological orientation is diverse, and that is why, according to the scientist, dystopia partially (but not completely) belongs to science fiction, which owes a lot to such genres as: melodrama, gothic literature - literature based on sensitive emotions.

Discussion on how to separate these concepts is still ongoing. In Euro-American studies, for the most part, "dystopia", "negative utopia", "kakotopia" are used synonymously, without clarifying their fundamental difference.

It is significant that the views of the scholars of the former socialist countries regarding this question were identical, because the development of political events took place in a similar time and circumstances. Accordingly, the anti-utopian mood in the Soviet area was synonymous with the breakdown of communist harmony, unlike Western literary circles, where it was an indispensable attribute of the cultural context of the 20th century. In the process of breaking ideological clichés, post-Soviet literary studies joined the trends of the global study of anti-utopia and fully reflected the disposition that was created around the genre of

anti-utopia.

As it has been mentioned above, the failure to achieve utopian ideals gives rise to anti-utopian pathos, and considering them independently of each other creates a number of problems. The theoreticians of the genre share the opinion that utopia, as a social way of thinking, was formed immediately after the creation of state institutions, whereas anti-utopia, which was genetically or theoretically connected to it, immediately emerged next to it and became a counter-theory of utopia and utopian thinking at every stage of human development. Anti-utopia tries to destroy utopia and prove that the reality described in utopia is unrealizable. It thoroughly explores the features on which utopia is based, and can be referred to not as a criticism of a specific historical situation, but of utopianism and the wrong will of man.

The process of formation of anti-utopian genre/sub-genres is still ongoing. The 21st century offers a new type of anti-utopian characters, as it expands their characteristic area, deepens the tragedy of an individual, which leads to the creation of a "multifaceted", "collective" hero. Besides, it is significant to search for the ambivalence of the mind in every cultural model. Therefore, the concept of "two literatures" is established in anti-utopia. In the first of them a man is singled out as a social phenomenon of "Homo Socialis" created by the society. In the second one, the concept of "Homo" is emphasized: a person is presented as a being distinguished by individual traits inherited genetically.

Any genre is created by time. The existence of any literary genre is aimed at contributing to the realization of the spiritual needs of the given time. Despite the fact that anti-utopia originates from the ancient stage of human development, its formation is especially connected to the 20th century, which is mainly due to the political, economic, social or moral problems that arose in this era. The needs of a particular period "dictate" to the narrator the idea of an anti-utopian literary work.

To summarize, anti-utopia is an inter-textual literary genre that is continuously undergoing change. Its discourse is characterized by a characteristic chronotope and aims to clarify the relations within the triad of "man - civilization - society" by denying the possibility of fulfilling utopian ideals, on the grounds that there is an imbalance between the society and its morals, hence the harmony is disrupted.